

შპს „საცდოს“

ფინანსური ინფორმაცია

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერ

ს ა რ ჩ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	4
ფულადისა და სხვების მოძრაობის ანგარიშგება	5
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6-16
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2-3. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	6-16
4. ამონაგები	12
5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12
6. სხვა შემოსავალი	12
7. საპროცენტო ხარჯი	13
8. ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	13
9. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	14
10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	14
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	15
12. მარაგები	15
13. მიღებული ვანსები	15
14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები	16
15. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ	16
16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	16

	31.12.2024	31.12.2023
აქტივები		
ფულადისაშენი	125263	66324
სავაჭრომოთხოვნები		
გადახდილივანებიდადარიცხულიმისაღებიშემოსავალი	34712	71086
მარაგები		
- მზაპროდუქცია		
- სხვა	17147	7950
ძირითადისაშენი		
- მიწა		
- შენობა-ნაგებობები		
- სხვაძირითადისაშენი	674212	623730
ინვესტიციებისხვასაწარმოთაწილობრივისტრუმენტებში		
სულ აქტივები	851334	769090
ვალდებულებები		
სავაჭროვალდებულებები	93196	97616
ვალდებულებებითანამშრომელთამართ	182747	147189
საგადასახადოვალდებულებები	213478	53303
მიღებული ავანსები	701228	823445
მოკლევადიანი ნასესხები თანხები	178244	
სულ ვალდებულებები	1368893	1121553
საკუთარიკაპიტალი		
სააქციოკაპიტალი (შპს-სშემთხვევაში 'კაპიტალი', კოპერატივისშემთხვევაში 'საპაიოკაპიტალი')	1326029	1357049
გაუნაწილებელიმოგება / ზარალი	-1843588	-1709512
სულ საკუთარი კაპიტალი	-517559	-352463
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	851334	769090

ამირან ნატროშვილი
დირექტორი

ციცინო მანველიშვილი
მთავარი ბუღალტერი


საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2024 წლისთვის

	31.12.2024
ნეტომონაგები	
მომსახურების გაწევიდან	5537378
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	
საერთო მოგება	
სხვა შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-3424149
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-83129
საპროცენტო ხარჯი	
სხვა ხარჯები	-2164176
მოგება/ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე	-134076
მოგების გადასახადი	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-134076

საწყისი გაუნაწილებელი მოგება: გადაანგარიშებული	
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი (წინა წლის საბოლოო ნაშთი)	-352463
გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა	
გასული პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა	
ბიოლოგიური აქტივის გასვლისას, გადაფასების რეზერვის ნაშთის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში	
განაწილებამ შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)	-31020
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	-517559


ამირან ნატროშვილი

დირექტორი



ციცინო მანველიშვილი

მთავარი ბუღალტერი



ფულადისახსრებისმოძრაობა 2024 წლისთვის

ლარი	2024
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-14411
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-73874
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	147224
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	58939
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	66324
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	125263

ამირან ნატროშვილი
დირექტორი



ციცინო მანველიშვილი
მთავარი ბუღალტერი



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „საცვო“ დაფუძნდა 2020 წლის 16 იანვარს, საიდენტიფიკაციო კოდი: 405373643. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, სულხან ცინცაძის 26.

კომპანიის დამფუძნებლები არიან :

- 1) LV5768092, გვიდო სმილტინს - 70%
- 2) LV6520832, დინარს გორნიკს - 30%

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი - ამირან ნატროშვილი

შპს საცვო-ს საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ლაივ რეჟიმში თამაშის წყევანა და ტრანსლაცია. კომპანია ფლობს აზარტული და/ან მომგებიანითამაშების მიმწოდებლის ლიცენზიას, რომელიც გათვალისწინებულია „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

შპს საცვო-ს სტუდია, რომელიც მდებარეობს თბილისში აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიებით, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ გაუზიაროს სათამაშო გამოცდილება თამაშების მრავალფეროვანი ასორტიმენტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულები სმეთოდის მიხედვით. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

ფინანსური ანგარიშგება შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი შემოსავლის ანგარიშგებისგან, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისგან. იგი ასევე მოიცავს შესაძარბელ ინფორმაციას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპი

ხელმძღვანელობამ მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას, ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ფულადი სახსრების დადებითი მოძრაობა, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ ფინანსურ

რესურსებზე წვდომა, როგორც ეს საჭიროა ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ მომდევნო 12 თვის განმავლობაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

უცხოური ვალუტა.

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების აღიარება. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა. (სხვადასაბეგრიობიექტი).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

ოფისის აღჭურვილობა	3-5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-7 წელი
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	10 წელი

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფს) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად

დებიტორული და სხვა დავალიანებები

დებიტორული და სხვა დავალიანებების აღიარება ხდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური სარგებლის მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს ყველა კუთვნილი თანხის ამოღებას დებიტორული დავალიანების თავდაპირველი პირობების მიხედვით. რეზერვის ოდენობა წარმოადგენს სხვაობას აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი ფულადი სახსრების სავარაუდო ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხის

ანგარიშის გამოყენებით და ზარალის ოდენობა აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. როდესაც დებიტორული დავალიანების ამოღება ვერ ხდება, ის ჩამოიწერება დებიტორული და სხვა დავალიანებების ანარიცხების ანგარიშზე. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება გათვალისწინებული იქნება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კრედიტორული და სხვა დავალიანებები

კრედიტორული დავალიანებები წარმოადგენს იმ საქონლის ან მომსახურებისთვის გადახდის ვალდებულებებს, რომელთა შეძენაც მოხდება მიმწოდებლებისგან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კრედიტორული დავალიანებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები იმ შემთხვევაში, თუ გადახდა უნდა შესრულდეს ერთი ან ნაკლები წლის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი წარმოდგენილია გრძელვადიანი ვალდებულებების სახით. ამჟამად, „კომპანიის“ ყველა კრედიტორული დავალიანების გადახდა მოსალოდნელია საბალანსო უწყისის შედგენის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში და კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე. კრედიტორული დავალიანებების აღიარება ხდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური სარგებლის მეთოდის გამოყენებით.

მოგების აღიარება

მოგება ითვალისწინებს საქონლისა და მომსახურების გაყიდვისთვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას „კომპანიის“ ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. მოგება ნაჩვენებია დამატებითი ღირებულების გადასახადის, ამონაგების, ფასდათმობების, ფასდაკლებებისა და „კომპანიის“ ფარგლებში გაყიდვების აღმოფხვრის შემდეგ.

კაპიტალი

„კომპანიის“ კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და დაგროვილი მოგება/ზარალისგან.

„კომპანიის“ საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება მისი წესდებით. საწესდებო კაპიტალში ნებისმიერი ცვლილება განხორციელდება „კომპანიის“ აქციონერების, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, რომელიც წარმოდგენილია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ. საწესდებო კაპიტალში შენატანები შეიძლება განხორციელდეს ფულადი სახსრების ან არაფულადი აქტივების სახით. როდესაც „კომპანიის“ კაპიტალში წარმოდგენილია არაფულადი აქტივები, ასეთი აქტივების ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი, პროფესიონალი, კვალიფიციური შემფასებლების მიერ ჩატარებული შეფასებით და კაპიტალი იზრდება ამგვარი შეფასებისას განსაზღვრული ოდენობით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ ახლავს თან ისეთი კვალიფიცირებული აქტივების შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ გარკვეული პერიოდი მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის ან რეალიზაციისთვის მოსამზადებლად, ემატება აღნიშნული აქტივების ღირებულებას იმ დრომდე, სანამ ასეთი აქტივები არ იქნება არსებითად მზად მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის ან რეალიზაციისთვის. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი წარმოიქმნება.

შემოსავლები და ხარჯები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს, რომ შემოსავლების აღიარება ხდება მათი გამომუშავებისას და არა ფულადი სახსრების მიღებისას, ხოლო ხარჯების აღიარება ხდება მათი ფაქტობრივად წარმოშობისას და არა გადახდისას.

თანამშრომლების ანაზღაურება და დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, გასამრჯელოები, შენატანები საქართველოს სახელმწიფო სააპენსიო და სოციალური დაზღვევის ფონდებში, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, რომელშიც გაწეულია დაკავშირებული მომსახურებები „კომპანიის“ თანამშრომლების მიერ.

მნიშვნელოვანი სააღრიცხო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული მსჯელობების, შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე, მათ თანხლებ განმარტებით შენიშვნებსა და პირობითი ვალდებულების განმარტებით შენიშვნაზე. აღნიშნულ ვარაუდებსა და შეფასებებში უზუსტობამ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდებში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას, „კომპანიამ“ გამოიყენა ისეთი დაშვებები, რომლებიც განიხილავდა ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივის ფიზიკური წარმადობის მოსალოდნელი სიმძლავრისა და მოსალოდელი ფიზიკური ცვეთის მითითებით, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, „კომპანია“ დებს გარიგებებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, შეფასდება თუ არა გარიგება საბაზრო ან არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების განფასება არადაკავშირებულ მხარეებთან.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს „საცვო“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

4. ამონაგები

კომპანია საქმიანობს სამშენებლო სექტორში და მისი შემოსავლები ძირითადად ფორმირდება შესრულებული სამუშაოს ღირებულებისგან. 2024 წლის განმავლობაში კომპანიის ამონაგებმა შეადგინა 2154419 ლარი.

ლარი	31-12-24
შემოსავალი სამშენებლო სამუშაოს შესრულებიდან	5517378
შემოსავალი იჯარიდან	0
სულ ამონაგები	<u>5517378</u>

5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

ლარი	31-12-24
პირდაპირი ხელფასი	3424149
ლიცენზიის ღირებულება	100 000
სულ თვითღირებულება	<u>3524149</u>

6. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს საკუროს სხვაობის შედეგად მიღებულ შემოსულობას 8779 ლარის ოდენობით.

შპს „საცვო“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

7. საპროცენტო ხარჯი

ლარი	31-12-24
პარტნიორის სესხისა და გარანტიის პროცენტი	330
სულსაპროცენტო ხარჯი	330

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	31-12-24
ბანკისმომსახურების ხარჯი	4359
თანამშრომლების და ქონების დაზღვევა	77393
იჯარის ხარჯი	707218
სხვა ცვეთა და ამორტიზაცია	127026
მომსახურების საერთო ხარჯი	672002
კომუნიკაციის ხარჯი	112020
სხვა საერთო ხარჯი	161878
საპენსიო გადასახადი	75244
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1937140

შპს „საცვო“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

9. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

ლარი	31-12-24
საკუროს სხვაობით გამოწვეული ხარჯი	(42797)
სულსხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი	(42797)

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ლარი	ავეჯი და სხვა ინვენტარი	არამატერი ალური აქტივი	ოფისისაღჭურვ ილობა	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყ.	სულ
წმინდასაბალანსოლირებუ ლება 2024 წლის 01 იანვრისმდგომარეობით	228161	0	251322	144247	623730
მიღებულია 2024 წლისსაანგარიშოპერიოდში	45488	-	47519	84501	177508
დარიცხულიცვეთა	40748	0	64971	21307	127026
გასული	0	-	0	0	0
ნარჩენილირებულება	232901	0	233870	207441	674212
წმინდასაბალანსოლირებუ ლება 2024 წლის 31 დეკემბრისმდგომარეობით	232901	0	233870	207441	674212

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების
ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

- ცვეთის მეთოდი: წრფივი მეთოდი

11. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ლარი	31-12-2024	01-01-2024
ფულადისახსრებილარში	125263	66324
ფულადისახსრებიდოლარში	0	0
სულფულადისახსრებისაბანკოანგარიშებზე	125263	66324
ნაღდიფულილარში	0	0
სულ ფული	125263	66324

კომპანიის ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ძირითადი ნაშთები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში, თიბისი ბანკში და საქართველოს ბანკში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ნაშთები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული. „კომპანია“ არ მოელის რომელიმე კონტრაგენტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობას.

12. მარაგები

ლარი	31-12-24	01-01-24
უნიფორმები	17147	7950
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	0	0
სულმარაგები	17147	7950

მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი არ გამოვლინდა .

13. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოიშობა, მაშინროდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარ გადახდები(ავანსები)ფინანსურიმდგომარეობისანგარშეგებაშიწარმოადგენსვალდებულებასიქამდე,სანამარმოხდებამისიგამომუშავება.როგორცკიავანსიგამომუშავდება,იმავედროულადვალდებულებაშემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება. წინასწარ გადახდილი თანხების 100% წარმოადგენს დამკვეთისგან მიღებულ ავანსებს.

შპს „საცცო“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

14. დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება შეადგენდა 195366 ლარს.

15. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 22 სექტემბერს.

შპს საცცო

დირექტორი

ამირან ნატროშვილი

